

ახალი რედაქცია დამტკიცებულია

რექტორის ბრძანება № 01- 20 03.05.2023

რექტორი  პ. ხვედელიძე



## განათლების ხარისხის მართვის და უზრუნველყოფის სისტემა

(მარეგულირებელი წესი)

ნდ №2-020101- 14

## განათლების ხარისხის მართვის და უზრუნველყოფის სისტემა (მარეგულირებელი წესი)

### 1. ხარისხის მართვის სისტემა

#### 1. ბნსუ-ში ხარისხის მართვის ძირითადი პრინციპები

1. ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში - ბნსუ) საქმიანობის ძირითად სფეროს წარმოადგენს საგანმანათლებლო საქმიანობა - მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში უმაღლესი (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა) და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და მეზღვაურთა მომზადებისა და გადამზადების პროგრამები (შემდგომში ყველა საგანმანათლებლო პროგრამები). საგანმანათლებლო საქმიანობაში ბნსუ-სთვის სახელმძღვანელო საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა, დარგობრივი საერთაშორისო სტანდარტები, ბოლონის პროცესის ძირითადი პრინციპები, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები (ESG 2015) და სხვ.;

2. ბნსუ არის ISO ხარისხის მართვის სისტემის შესაბამისობის სერტიფიკატების (ISO 9001:2000, IQNet; ISO 9001:2008, IQNet; ISO 9001:2015, IQNet) მფლობელი. ISO-ს ხარისხის მართვის სისტემის შესაბამისად, ბნსუ-ში მოქმედებს ხარისხის მართვის სისტემა ურთიერთდაკავშირებული ელემენტების ერთობლიობა (პოლიტიკის, სტრუქტურის, პროცედურების, პროცესებისა და რესურსების ჩათვლით), რომლის თანახმად ბნსუ მიიჩნევს, რომ:

- ხარისხი არის სტანდარტებთან (ნორმებთან) ობიექტის (პროდუქტის, მომსახურების, პროცესის) თვისებების შესაბამისობა. ხარისხს აქვს 2 ასპექტი: პირველი - სტანდარტებთან შესაბამისობა, მეორე - მომხმარებელთა მოთხოვნებთან შესაბამისობა;
- ხარისხის მართვა არის ხარისხის მართვის სისტემის ნაწილი, რომელიც მიმართულია ხარისხის უზრუნველყოფის მოთხოვნების შესრულებაზე;
- ხარისხის უზრუნველყოფა არის ხარისხის მართვის ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფს ხარისხის მოთხოვნების შესრულებას;
- ხარისხის დადგენა არის ხარისხის მართვის ნაწილი, რომელიც ადგენს მიზნებს ხარისხის სფეროში და უზრუნველყოფს შესაბამისი რესურსებით ამ მიზნების მიღწევას;
- ხარისხის შემოწმება - შემოწმების მოთხოვნების შესრულების ობიექტური შეფასების სისტემატური, დამოუკიდებელი და დოკუმენტირებული პროცესი.

ზემოთ აღნიშნული ვრცელდება ბნსუ-ს საგანმანათლებლო საქმიანობაზეც;


3. ბნსუ განათლების ხარისხს (შემდგომში - ხარისხი) განიხილავს როგორც: 1) სისტემას, რომელსაც საფუძვლად უდევს განათლების სფეროში არსებული მოთხოვნები, ნორმები და სტანდარტები, ბნსუ-ს მისია და სტრატეგიული პრიორიტეტები; 2) სტრუქტურას, რომელიც შედგება სამი ურთიერთდაკავშირებული კომპონენტისაგან: შედეგის ხარისხი, პროცესის ხარისხი, პირობების ხარისხი. ამ სტრუქტურის თითოეული კომპონენტის ხარისხი გავლენას ახდენს სხვა კომპონენტების ხარისხზე (მაგ., შედეგის ხარისხის შეფასება განაპირობებს პირობების და პროცესის ხარისხის ცვლილებებს, პროცესის ხარისხის შეფასება განაპირობებს პირობების ხარისხის განვითარებას და გავლენას ახდენს შედეგების ხარისხზე და ა.შ.). ბნსუ მიიჩნევს, რომ:

- ხარისხის მართვის სისტემის მიზანია განათლების ხარისხის უზრუნველყოფა და განვითარება;
- ხარისხის ელემენტებია: ბნსუ-ს მართვის და ბნსუ-ში საგანმანათლებლო საქმიანობის ორგანიზების და სტაბილურობის ხარისხი; ბნსუ-ს ინფრასტრუქტურის და „ფიზიკური სასწავლო გარემოს“ ხარისხი; სწავლა-სწავლების ხარისხი; სასწავლო პროცესის მეთოდოლოგიური, მატერიალური და ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფის ხარისხი; საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხი, პროგრამების ადამიანური და მატერიალური რესურსების ხარისხი; სწავლების სუბიექტის ხარისხი; ბნსუ-ს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობა; ბნსუ-ს მიერ შეთავაზებული საგანმანათლებლო პროდუქტის და ამ პროდუქტის მომხმარებელთა და პოტენციურ მომხმარებელთა მოლოდინების თანხვედრის ხარისხი;
- ხარისხის მართვის ძირითად პრინციპებს მიეკუთვნება: განათლების სფეროში არსებული მოთხოვნების გააზრება და შესრულება საქართველოს კანონმდებლობის, საერთაშორისო სტანდარტების, სამეცნიერო-ტექნიკური ინოვაციებისა და შრომის ბაზარზე არსებული ტენდენციების გათვალისწინებით; მომხმარებელზე ორიენტირება; ეფექტიანი მართვის სისტემა; პირობების, პროცესის და შედეგების ხარისხის სრულყოფა გარე შეფასებების და სისტემატური კონტროლის (თვითშეფასების) შედეგების გათვალისწინებით;
- ხარისხის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა გულისხმობს: სტრუქტურული ერთეულების ფუნქციური მოვალეობების მკაფიო გამოიჯნას, შემოწმებისა და შეფასების ეფექტიანი მექანიზმის შემუშავებას და გამოყენებას, არსებული მდგომარეობის ობიექტურ შეფასებას, ბნსუ-ს პერსონალის (თანამშრომლები, პედაგოგიური პერსონალი) და სწავლების სუბიექტების (მაგისტრანტები, სტუდენტები, პროფესიული სტუდენტები, მომზადება/გადამზადების და საწვრთნელი პროგრამების მსმენელები) ჩართულობას ბნსუ-ს განვითარების მიზნების ფორმირების პროცესში, აქტუალური ამოცანების გადაწყვეტაში და ბნსუ-ს დადებითი იმიჯის ფორმირებაში;
- ხარისხის მართვის ფუნქციონალურ ასპექტებში მოიაზრება: ბნსუ-ს მისიის ჩამოყალიბება, განათლების სფეროში სტრატეგიის, პოლიტიკის და მიზნების ფორმირება, საგანმანათლებლო საქმიანობის დაგეგმვა და თანმიმდევრული გაუმჯობესება, საგანმანათლებლო საქმიანობისთვის აუცილებელი რესურსების მართვა, ძირითადი და დამხმარე პროცესების მართვა და სისტემატური კონტროლი, რაც წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის და განვითარების ერთ-ერთ გარანტიას;
- ხარისხის დაგეგმვა არის პროცესი, რომელიც მიმართულია განათლების სფეროში ბნსუ-ს გრძელვადიანი სტრატეგიის და პოლიტიკის შემუშავებაზე და მათთან დაკავშირებული მიზნების და მოთხოვნების ფორმირებაზე;
- ხარისხის შეფასება არის იმის დადასტურება, რომ მოთხოვნები ხარისხისადმი შესრულებულია ან შესრულებული არ არის. შეფასებისას ბნსუ ყვრდნობა შემდეგ პრინციპებს: პირველი - ხარისხის შეფასება არ არის მხოლოდ სწავლების სუბიექტის კომპეტენციების შეფასება, მეორე - ხარისხის შეფასება ხორციელდება სისტემატურად და კომპლექსურად და მოიცავს ბნსუ-ს საქმიანობის ყველა მიმართულებას;
- ხარისხის მართვის სისტემა: უზრუნველყოფს მხოლოდ იმ ამოცანების შესრულებას, რომელთა გადაწყვეტა შესაძლებელია მართვის ეფექტიანი სისტემის მეშვეობით; მოიცავს ბნსუ-ს საქმიანობის ურთიერთდაკავშირებულ პედაგოგიურ, სამეცნიერო,

- ადმინისტრაციულ, სამეურნეო და სხვ. სფეროებს; წარმოადგენს საორგანიზაციო სტრუქტურის, მეთოდიკების, პროცესების და რესურსების ერთობლიობას, რომელიც აუცილებელია ხარისხის მართვის რეალიზებისთვის.
4. ბნსუ მიიჩნევს, რომ ხარისხის მართვის სისტემის ეფექტიანობის საფუძველია შედეგი დებულებები:
- ხარისხის მართვის სისტემა არის კორპორატიული სისტემა: მისი შექმნა, ამოქმედება და ფუნქციონირება მოითხოვს ამ პროცესში ბნსუ-ს თანასაზოგადოების ყველა წევრის (პერსონალი, სწავლების სუბიექტები, სხვ.) ჩართულობას;
  - ბნსუ-ში ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება უშუალოდ საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულების და მთლიანად ბნსუ-ს ინსტიტუციურ დონეებზე და გულისხმობს ბნსუ-ში ხარისხის კონტროლის ეფექტიანი სისტემის არსებობას, სწორი მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებასა და შესაბამისი ღონისძიებების გატარებას;
  - ხარისხის მართვის სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირება შესაძლებელია მხოლოდ ხარისხის კულტურის დამკვიდრების გზით, რაც გულისხმობს ბნსუ-ში ისეთი გარემოს შექმნას, როდესაც ბნსუ-ს მთელ თანასაზოგადოებას აქვს ერთიანი ხედვა ხარისთან დაკავშირებით, თითოეული მათგანი აცნობიერებს ხარისხის მნიშვნელობას, იცის რა გზით არის შესაძლებელი ხარისხის მიღწევა, თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს ხარისხს.

**2. ხარისხის კულტურის ფორმირება**

ბნსუ-ში ხარისხის კულტურის აგების მთავარი პრინციპები (“good principles”) - ხარისხის კულტურის განვითარების სტრატეგიის საფუძველები:



**2. ხარისხის უზრუნველყოფა**

**1. გარე შეფასება**

1. გარე შეფასების შედეგები გამოიყენება ხარისხის უზრუნველყოფის და განვითარების მიზნით;
2. ბნსუ-ს გარე შეფასების განმახორციელებლები არიან:
  - 1) ბნსუ - როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება.
    - სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.
  - 2) ბნსუ - როგორც საზღვაო საგანმანათლებლო დაწესებულება:
    - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო (წელიწადში ორჯერ);
    - Russian Register Certification System, “Russian Register of Shipping” - ISO 9001:2015 (ყოველწლიურად);
    - European Maritime Safety Agency (EMSA) ( 3 წელში ერთხელ);
    - საერთაშორისო დარგობრივი ორგანიზაციები (მათ შორის, Panama Maritime Authority, Honduras Maritime Authority, სხვ.)

**2. ხარისხის შიდა შეფასების სისტემა**

**2.1. თვითშეფასება**

1. თვითშეფასება არის ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მექანიზმი და მმართველობითი ანალიზის ინსტრუმენტი. თვითშეფასება არის პროცესი, რომლის ძირითადი მიზანია ბნსუ-ს სტაბილური ფუნქციონირების, არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების და შემდგომი განვითარების შესაძლებლობის დადგენა;
2. თვითშეფასების პროცესში მონაწილეობს ბნსუ-ს ყველა სტრუქტურული ერთეული (კომპეტენციის ფარგლებში). თვითშეფასების პროცესის ხელშეწყობის და ინფორმაციის მიწოდების პასუხისმგებლობა ეკისრება ფაკულტეტების დეკანებს, პროფესიული განათლების დეპარტამენტის, სასწავლო პროცესის წარმართვაში/უზრუნველყოფაში მონაწილე და სხვა სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს. ამ პროცესის კოორდინაციაზე და წარმართვაზე, შედეგების შემაჯამებელი ანალიზის, დასკვნების და რეკომენდაციების მომზადებაზე პასუხისმგებელია ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;
3. ბნსუ-ში თვითშეფასება ტარდება ყოველწლიურად, შემდეგი მიმართულებით: ბნსუ-ს, როგორც საგანმანათლებლო დაწესებულების, მდგომარეობის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა; საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხი (აკრედიტაციის სტანდარტებთან, შესაბამის დარგობრივ მახასიათებლებთან, პროფესიულ სტანდარტებთან შესაბამისობა); ISO-ს სტანდარტებთან შესაბამისობა; მომზადება/გადამზადების პროგრამების და საწვრთნელი კურსების STCW კოდექსთან შესაბამისობა; ბნსუ-ში არსებული რეგულაციების და გეგმების შესრულება; შეუსაბამობების/დარღვევის მიზეზების დადგენა, მათი აღმოფხვრის და არსებული ვითარების გაუმჯობესების გზების განსაზღვრა;
4. თვითშეფასების პროცესი მოიაზრებს სისტემაურ მონიტორინგს, ისე დაინტერესებულ მხარეთა (ბნსუ-ს პერსონალი, სწავლების სუბიექტები, პროგრამების განმახორციელებლები, კურსდამთავრებულები, პოტენციური დამსაქმებლები, პარტნიორი დაწესებულებები) აზრის შესწავლას გამოკითხვის და/ან გასაუბრების მეთოდით და ბნსუ-ში არსებული ვითარების შესწავლას

მონიტორინგის გზით. როგორც შემთხვევაში, დამატებითად შეიძლება იყოს გამოყენებული „ფოკუს-ჯგუფები“, კონტენტ-ანალიზის მეთოდები.

4. ყოველწლიური თვითშეფასების საბოლოო შედეგებს ასახავს შემაჯამებელი დოკუმენტი - ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიში, რომლითაც დგინდება ბნსუ-ში არსებულ ვითარება და შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობით და საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებთან. თვითშეფასების ანგარიშის შედეგაზე პასუხისმგებელია ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.


**2.2. „მუდმივი გაუმჯობესების ციკლი“ (PDCA)**

1. ბნსუ-ს საგანმანათლებლო საქმიანობის და სხვა მიმდინარე პროცესების ხარისხის მუდმივი გაუმჯობესების ქმედით ინსტრუმენტს წარმოადგენს ე.წ. შუპარტ-დემინგის „მუდმივი გაუმჯობესების წიკლი“ PDCA («Plan-Do-Check-Act»);

2. ბნსუ-ში PDCA ციკლის გამოყენებით ხარისხის დაგეგმვა გულისხმობს პროცესის ეტაპებად დაყოფას:

- P (Plan) - დაგეგმვა (დაინტერესებულ მხარეთა მოლოდინების და მოთხოვნების შესაბამისი შედეგების მიღწევისათვის აუცილებელი პროცესების, პროცედურების, ღონისძიებების, აქტივობების, რესურსების დაგეგმვა და სხვ.);
- D (Do) - შესრულება (ბნსუ-ს ინსტიტუციურ დონეზე და ბნსუ-ს სტრუქტურული ერთეულების დონეზე დაგეგმილი პროცესების, პროცედურების, ღონისძიებებისა და აქტივობების შესრულება);
- C (Check) - შემოწმება (დაგეგმილი პროცესების, პროცედურების, ღონისძიებებისა და აქტივობების კონტროლი, რომლებიც განაპირობებენ ბნსუ-ს საქმიანობის ხარისხს; მათი შედეგების შესწავლა-შეფასება - ინფორმაციის შეგროვება, შეუსაბამობების გამოვლენა და ანალიზი, შეუსაბამობების მიზეზების დადგენა, სხვ.);
- A (Act) - ქმედება/ნორმის შემოღება (კორექტირება და გაუმჯობესება - დაგეგმილი ღონისძიებების და აქტივობების რეალიზების ეტაპზე მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე პროცესის მაჩვენებლების გაუმჯობესება, შეუსაბამობების მიზეზების აღმოფხვრის ღონისძიებების გატარება, საჭიროების შემთხვევაში - მაკორექტირებელი ქმედებების განხორციელება, დაგეგმილი გეგმების და პროცესების აქტუალიზება, დაგეგმილ აქტივობებში ცვლილებების შეტანა და სამოქმედო გეგმებში ასახვა, სხვ.).

3. ბნსუ-ს პროცესებში და პროცედურებში PDCA ციკლის გამოყენების სქემა (ნიმუში):



**2.3. SWOT ანალიზი**

1. თვითშეფასების და მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით ერთ-ერთი ეფექტიანი მექანიზმია ბნსუ-ს საქმიანობის ყოველწლიური ე.წ. SWOT-ანალიზი, რომელიც ასახავს ბნსუ-ს გარემოს ძლიერ და სუსტ მხარეებს, შესაძლებლობებს, საფრთხეებსა და რისკებს გარე ფაქტორების ზემოქმედების გათვალისწინებით. ასევე, ბნსუ-ში SWOT ანალიზი გამოიყენება საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების და შემდგომი განვითარების მიზნით.

ძლიერი მხარეები (Strengths)	სუსტი მხარეები (Weaknesses)
შესაძლებლობები (Opportunities)	საფრთხეები, რისკები (Threats)

2. SWOT ანალიზის მიზანია გაეცეს პასუხი საკვანძო შეკითხვებზე, მაგ.: იყენებს თუ არა ბნსუ ძლიერ მხარეებს განვითარების სტრატეგიაში; არის თუ არა არსებული სუსტი მხარეები წარმატებული საქმიანობისა და კონკურენტუნარიანობის ხელისშემშლელი ასპექტები და რამდენად ფერხდება მათ გამო ბნსუ-ს განვითარების შესაძლებლობა; რა საფრთხეები არსებობს; რა გარემოებები შეუწყობს ხელს ბნსუ-ს განვითარებას მისი რესურსების და შესაძლებლობების გამოყენების შედეგად და სხვ.

3. ზემოთ აღნიშნული გამოიყენება განვითარების ერთწლიანი და გრძელვადიანი სტრატეგიის განსაზღვრისას. შესაძლებელია SWOT ანალიზის ელემენტების კომბინაციის მაგ., შემდგომი გამოყენება:

- „შესაძლებლობები - ძლიერი მხარეები (უპირატესობები)“ - განსაზღვრავს არსებული უპირატესობების შემდგომი გაძლიერებისა და განვითარების სამომავლო სტრატეგიას;
- „შესაძლებლობები - სუსტი მხარეები (ნაკლოვანებები)“ - განსაზღვრავს არსებული სუსტი მხარეების აღმოფხვრის სტრატეგიას;
- „საფრთხეები - სუსტი მხარეები (ნაკლოვანებები)“ - განაპირობებს პოტენციური განვითარების სტრატეგიის შესაძლო შეზღუდვებს და შემაფრთხილებელ გარემოებებს;
- „საფრთხეები - ძლიერი მხარეები (უპირატესობები)“ - განაპირობებს განვითარების პოტენციური უპირატესობების განსაზღვრის სტრატეგიას.

4. ობიექტური შეფასების შესაძლებლობას უზრუნველყოფს ორი წლის SWOT-ანალიზების შედარება: ორი SWOT ანალიზის



შედარებით შესაძლებელი იქნება იმის დადგენა როგორ განვითარდა და საერთოდ განვითარდა თუ არა ბნსუ, რა პრობლემები იყო გადაჭრილი და რა ახალი პრობლემები ან რისკები გაჩნდა, განვითარების რა პერსპექტივები და საფრთხეები არსებობს და ა.შ.;

5. SWOT-ანალიზის საფუძველად უდევს წლის განმავლობაში ჩატარებული მონიტორინგის, შეფასება-შემოწმებისა და ანონიმური გამოკითხვის შედეგები. ბნსუ-ს SWOT-ანალიზის ადგენს ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, საგანმანათლებლო პროგრამების SWOT-ანალიზის ადგენენ შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

6. SWOT-ანალიზის საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს სამოქმედო გეგმებს და რეკომენდაციებს, რომლებიც მიზნად ისახავს ხარვეზების აღმოფხვრას, მიღწეული დადებითი შედეგების შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას, არსებული შესაძლებლობების გამოყენებას, შესაძლო საფრთხეების სწორად შეფასებას და ბნსუ-ს ხელმძღვანელობის მიერ ეფექტური და სტრატეგიულად სწორი მმართველობითი გადაწყვეტილების მიღებას.

#### 2.4. ხარისხის კონტროლის სისტემა

1. ბნსუ-ში ხარისხის მართვა და უზრუნველყოფა ხორციელდება სისტემატური კონტროლის გზით, ამ პროცესში ბნსუ-ს პერსონალის, სწავლების სუბიექტების, კურსდამთავრებულთა და ბნსუ-ს პარტნიორი-დაწესებულებების (კურსდამთავრებულთა დამსაქმებლების/პოტენციური დამსაქმებლების) თანამონაწილეობით. ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, გარდა მითითებულისა, კონტროლის პროცესში მონაწილეობენ პარტნიორი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები;

2. ხარისხის კონტროლი შეიძლება იყოს: გარე და შიდა კონტროლი (გარე და შიდა შეფასება), გეგმიური და არაგეგმიური კონტროლი;

3. ბნსუ-ს ხარისხის კონტროლის სისტემა (შემდგომში - კონტროლის სისტემა) არის ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელიც:

- მიმართულია ხარისხის კომპონენტების - პროცესების ხარისხის, პროცესების ხარისხის და შედეგების ხარისხის შესწავლაზე და შეფასებაზე, სწორი მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისთვის აუცილებელი საწყისი ინფორმაციის მოზადებაზე;
- მიზნად ისახავს ხარისხის უზრუნველყოფას (კანონმდებლობის და სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობას, ბნსუ-ს ყველა პროცესის ხარისხის და სწავლების სუბიექტების მოზადების ხარისხის დადგენას, ხარვეზების/ნაკლოვანებების გამოვლენას, მათი გამომწვევი მიზეზების დადგენას და აღმოფხვრის მექანიზმების შემუშავებას და სხვ.);

4. ხარისხის კონტროლის სისტემის ძირითადი პრინციპებია:

- მასშტაბურობა - ბნსუ-ში ყველა პროცესის ეფექტიანობის და ხარისხის კონტროლი;
- გეგმიურობა - შემოწმების ჩატარება შეთანხმებული გეგმის მიხედვით;
- ობიექტურობა - კონტროლის შედეგებზე სუბიექტური გავლენის გამორიცხვა;
- გამჭვირვალობა - კონტროლის მიზნების, მექანიზმების და შედეგების შესახებ დაინტერესებულ მხარეთა ინფორმირება;
- დიფერენცირება - კონტროლის სუბიექტის სპეციფიკის გათვალისწინება.

5. ბნსუ-ში ხარისხის უზრუნველყოფა მოიცავს: 1) უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო და მოზადება-გადამზადების და საწვრთნელი პროგრამების განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულების დონეს და 2) ბნსუ-ს, როგორც საგანმანათლებლო დაწესებულების, ინსტიტუციურ დონეს:

1) საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულის დონე

ა) უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები:

ფაკულტეტის დონე. ფაკულტეტის დონეზე ხორციელდება საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი პროცესი და ხარისხის კონტროლი. ფაკულტეტმა უნდა უზრუნველყოს ხარისხის საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2015 შესრულება, მეცნიერების და პრაქტიკის თანამედროვე ტენდენციებთან, საქართველოს დარგობრივ სტანდარტებთან /მახასიათებლებთან და საერთაშორისო კონვენციის STCW-95 (საზღვაო სფეროს პროგრამების შემთხვევაში) სტანდარტებთან შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება. ფაკულტეტის მიერ სისტემატურად (ყოველწლიურად) შეისწავლება: საქმიანობა, რომელიც მიეკუთვნება ფაკულტეტის კომპეტენციის და პასუხისმგებლობის სფეროს, ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის მსურველთა რაოდენობა (აბიტურიენტები/მაგისტრანტების კანდიდატები, მოზილობით გადმოსული სტუდენტები), პროგრამაზე კონკურსის არსებობა (გამოცხადებული ვაკანტური ადგილების და სწავლის მსურველთა რაოდენობა), შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამიდან მოზილობით გადასული და სხვა მიზეზით სტატუსშეწყვეტილი სტუდენტების რაოდენობები (ე.წ. „პროგრამიდან განთავსა“); სამაგისტრო პროგრამის შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების ხარისხი (შინაარსის სირთულე, თემების საკმარისობა, შეფასებების რელევანტურობა და სხვ.); საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფა, მათი საკმარისობა და ხარისხი; ასევე, ფაკულტეტის ამოცანა - სასწავლო-მეთოდური დოკუმენტაციის მოზადება-დაკომპლექტება და საქართველოს კანონმდებლობასთან საგანმანათლებლო პროცესის შესაბამისობის უზრუნველყოფა, ინფორმაციის კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ ინფორმაციის შეგროვება, დარგობრივ ორგანიზაციებთან/დაწესებულებებთან თანამშრომლობა, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი, სარეიტინგო სიების შედგენა და სხვ. ფაკულტეტზე უნდა არსებობდეს ყველა ნორმატიული დოკუმენტი, მათ შორის რომლებიც აწესრიგებენ საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პროცესს. ფაკულტეტის დონეზე შესაბამისობის და ხარისხის უზრუნველყოფა წარმოადგენს ფაკულტეტის დეკანის და ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პასუხისმგებლობის სფეროს.

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: პროფესიული განათლების დეპარტამენტის დონე. პროფესიული განათლების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი), როგორც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეული, პასუხისმგებელია ხარისხის საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2015 შესრულებაზე, საქართველოში მოქმედ კანონმდებლობასთან და პროფესიულ სტანდარტებთან და საერთაშორისო კონვენციის STCW-95 (საზღვაო სფეროს პროგრამების შემთხვევაში) სტანდარტებთან და განათლების შინაარსის შესაბამისობაზე. დეპარტამენტის პასუხისმგებლობის სფეროს მიეკუთვნება ლექციების, პრაქტიკული/ლაბორატორიული/სხვ. ხარისხი (გამოიყენება ღია ლექციები, ურთიერთდასწრება, ელ.ფორმატში სალექციო კურსების/მასალების და საგამოცდო ბილეთების ფონდების შექმნა, სალექციო კურსების განხილვა, სხვ.). განსაკუთრებულ ყურადღება ეთმობა პრაქტიკის კომპონენტს და მისი განხორციელების ხარისხს. დეპარტამენტის მიერ გეგმიურად მოწმდება: საქმიანობა, რომელიც მიეკუთვნება პროფესიული განათლების დეპარტამენტის კომპეტენციის და პასუხისმგებლობის სფეროს, პროფესიულ სტუდენტთა შუალედური და დასკვნით შეფასებები და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან და ბნსუ-ში მოქმედ მარეგულირებელ წესებთან მათი შესაბამისობა; პროფესიულ სტუდენტთა შუალედური (ბნსუ-ში ე.წ. „მიმდინარე“) შეფასებების შინაარსი, რაოდენობების საკმარისობა და კანონმდებლობასთან და ბნსუ-ში მოქმედ წესებთან შესაბამისობა; შუალედური და დასკვნითი შეფასებების მიმდინარეობა,

მოთხოვნათა დონე (მათ შორის, საგამოცდო ბილეთების, საშინაო დავალებების, მიმდინარე შეფასებების და სხვ. შინაარსის ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში - კორექტირება). დეპარტამენტში განიხილება პრაქტიკის ანგარიშები, მოთხოვნები ანგარიშებისადმი, მენტორების და ხელმძღვანელების შეფასებები, საჯარო დაცვების კომისიების სხდომის ოქები და სხვ. დეპარტამენტის დონეზე ხორციელდება საგანმანათლებლო-ადმინისტრაციული პროცესი და ხარისხის კონტროლი. დეპარტამენტის მიერ სისტემატურად (ყოველწლიურად) შეისწავლება: საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის მსურველთა რაოდენობა (პროგრამაზე ჩარიცხული, მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტები), პროგრამაზე კონკურსის არსებობა (გამოცხადებული ვაკანტური ადგილების და სწავლის მსურველთა რაოდენობა), შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამიდან მობილობით გადასული და სხვა მიზეზით სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობები (ე.წ. „პროგრამიდან განთავსვა“) და სხვ. დეპარტამენტის მნიშვნელოვანი ამოცანაა - სასწავლო-მეთოდური დოკუმენტაციის მომზადება-დაკომპლექტება და საქართველოს კანონმდებლობასთან საგანმანათლებლო პროცესის შესაბამისობა. დეპარტამენტი აგროვებს ინფორმაციას კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ, თანამშრომლობს დარგობრივ ორგანიზაციებთან/დაწესებულებებთან, ამზადებს პროფესიულ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზს და ადგენს სარეიტინგო სიებს. დეპარტამენტში უნდა არსებობდეს ყველა ნორმატიული დოკუმენტი, მათ შორის რომლებიც აწესრიგებენ საგანმანათლებლო-საადმინისტრაციო პროცესს. დეპარტამენტის დონეზე შესაბამისობის და ხარისხის უზრუნველყოფა წარმოადგენს დეპარტამენტის ხელმძღვანელის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის პასუხისმგებლობის სფეროს;

გ) საზღვაო სფეროს მომზადება/გადამზადების და საწვრთნელი პროგრამები: საერთაშორისო საზღვაო მომზადების ცენტრის დონე. საერთაშორისო საზღვაო მომზადების ცენტრი (შემდგომში - ცენტრი), როგორც მომზადება/გადამზადების და საწვრთნელი პროგრამების განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეული, პასუხისმგებელია ხარისხის საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2015 შესრულებაზე, საერთაშორისო კონვენციის STCW-95, მეზღვაურთა მომზადებისა და დიპლომირების შესახებ საქართველოს კანონის, სხვა მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან საზღვაო განათლების შინაარსის შესაბამისობაზე. ცენტრის პასუხისმგებლობის სფეროს მიეკუთვნება: ყველა კატეგორიის მეზღვაურთა მომზადება/გადამზადების დამტკიცებული აღიარებული კურსების, მომზადების და გადამზადების პროგრამის და საერთაშორისო საზღვაო კონვენციის მოთხოვნის მიხედვით სასწავლო-საწვრთნელი ვარჯიშების ჩატარების ხარისხი; სწავლების სუბიექტების კომპეტენციების ხარისხი; მეზღვაურთა წვრთნის, მომზადებისა და გადამზადების პროგრამების მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის ხარისხი; პროგრამების და წვრთნების განმახორციელებელი პერსონალის ხარისხი და სხვ. ცენტრის მიერ სისტემატურად (ყოველწლიურად) შეისწავლება: საქმიანობა, რომელიც მიეკუთვნება ცენტრის კომპეტენციის და პასუხისმგებლობის სფეროს, მომზადება/გადამზადების და საწვრთნელ პროგრამებზე სწავლის მსურველთა რაოდენობა (პროგრამაზე ჩარიცხული მსმენელები), პროგრამაზე კონკურსის არსებობა (ვაკანტური ადგილების და სწავლის მსურველთა რაოდენობა), კურსდამთავრებულთა რაოდენობა და სხვ. ცენტრის მნიშვნელოვანი ამოცანაა - სასწავლო მეთოდური დოკუმენტაციის მომზადება-დაკომპლექტება და საზღვაო დარგში მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობა. ცენტრი აგროვებს ინფორმაციას კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ, თანამშრომლობს დარგობრივ ორგანიზაციებთან /დაწესებულებებთან, ამზადებს მსმენელთა მოსწრების ანალიზს, სხვადასხვა დოკუმენტებს, ანგარიშებს და სხვ. ცენტრში უნდა არსებობდეს ყველა ნორმატიული დოკუმენტი, მათ შორის რომლებიც აწესრიგებენ სწავლა-სწავლების და წვრთნის პროცესს. ცენტრის დონეზე შესაბამისობის და ხარისხის უზრუნველყოფა წარმოადგენს ცენტრის ხელმძღვანელის ტრენინგ-მენეჯერის პასუხისმგებლობის სფეროს.

2) ბნსუ-ს ინსტიტუციური დონე. ამ დონეზე ხარისხის უზრუნველყოფა, ხარისხის საერთაშორისო სტანდარტთან ISO 9001:2015, საერთაშორისო კონვენციის STCW-95 სტანდარტებთან, განათლების სფეროში მოქმედ საერთაშორისო სტანდარტებთან, საქართველოს კანონმდებლობასთან და სტანდარტებთან/დარგობრივ მახასიათებლებთან შესაბამისობა მიიღწევა ბნსუ-ს ყველა სტრუქტურული ერთეულის ურთიერთშეთანხმებული საქმიანობის შედეგად. ბნსუ-ს დონეზე შესაბამისობის და ხარისხის უზრუნველყოფა წარმოადგენს რექტორის და ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პასუხისმგებლობის სფეროს.

3) ბნსუ-ს სამეცნიერო-კვლევითი და ინტერნაციონალიზაციის საქმიანობის დონე. ბნსუ სამეცნიერო საქმიანობის განხორციელებისას აკადემიურ თავისუფლებას განიხილავს, როგორც სახელმძღვანელო პრინციპს, რომელიც ხელს უწყობს კვლევით საქმიანობას, მის ადმინისტრაციულ, მატერიალურ და ფინანსურ მხარდაჭერას.

სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართული პირები თავიანთ საქმიანობას განიხილავენ სხვათა აზრების, რწმენისა და ღირებულებების მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულებით; აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით; სამართლიანი მიდგომებით, როგორც საკუთარ, ასევე სხვათა მიერ განხორციელებულ კვლევით პროცესში ჩართული პირების, მათ შორის სტუდენტების მიმართ; გუნდურობის პრინციპის დაცვით; ახალგაზრდა თაობის პოტენციალის გაძლიერებით.

ბნსუ-ს მიერ განხორციელებული სამეცნიერო კვლევები ემსახურება სტუდენტთა ინტერესებს, შესაბამისად სამეცნიერო საქმიანობის შედეგები აქტიურად არის გამოყენებული სწავლა-სწავლების პროცესში.

სამეცნიერო საქმიანობის ეფექტიანობისთვის უნივერსიტეტმა ბნსუ-ს თანამშრომლებს აკავშირებს ადგილობრივ და საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებთან, კვლევით ინსტიტუციებთან, კერძო და საჯარო ორგანიზაციებთან, რათა შეძლოს ერთობლივი კვლევების განხორციელება ან მათში მონაწილეობის მიღება; ასევე საზოგადოების წარმომადგენლებთან, რათა შესაძლებლობების ფარგლებში გადაჭრას საზოგადოების წინაშე მდგარი კონკრეტული პრობლემები, დააკმაყოფილოს მისი ინტერესები და ეს პრინციპი გაითვალისწინოს კვლევის პრიორიტეტების განსაზღვრის დროს.

ბნსუ აცნობიერებს, რომ მისი საქმიანობა არა მხოლოდ ქვეყნის, არამედ რეგიონულ და გლობალურ პერსპექტივებზე უნდა იყოს ორიენტირებული და, რომ უაღრესად კონკურენტულ საგანმანათლებლო გარემოში მაღალი ხარისხისა და წარმატების საწინდარს დაწესებულების ინტერნაციონალიზაცია წარმოადგენს.

ბნსუ-სთვის ინტერნაციონალიზაცია კომპლექსური უწყვეტი და განგრძობადი პროცესია და გულისხმობს მთელი ინსტიტუციის ეტაპობრივ ინტერნაციონალიზაციას, რათა უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა იქცეს საერთო საუნივერსიტეტო მიზნად და ამ პროცესში რაც შეიძლება მეტი მონაწილე იყოს ჩართული.

უნივერსიტეტისთვის ინტერნაციონალიზაცია უნდა იყოს საშუალება, მეთოდი და მექანიზმი, რომლითაც საუნივერსიტეტო საქმიანობა დაუკავშირდება საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო სისტემას; გაზრდის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებისა და აკადემიური პერსონალის კონკურენტუნარიანობას, ხელს შეუწყობს მათ წარმატებას და პროფესიულ განვითარებას.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერიოდულად აფასებს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობისა და ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის განხორციელების მდგომარეობას სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. ანალიზებს მიღებულ ინფორმაციას და საჭიროების შემთხვევაში, გეგმავს გაუმჯობესების ღონისძიებებს.

6. ბნსუ-ში ხარისხზე კონტროლის პროცესის ხელშეწყობის, ამ პროცესში მონაწილეობის და აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება აქვთ ყველა სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს;
7. ბნსუ-ში ხარისხის კონტროლის სისტემა ხორციელდება ყოველწლიური შემოწმება-შეფასების გზით.

## 2.5. მონიტორინგი

1. **მონიტორინგის არსი, მიზანი და პერიოდულობა.** მონიტორინგი წარმოადგენს ინფორმაციის შეგროვების სისტემატურ და რეგულარულ პროცედურას. მისი მიზანია ნორმების/სტანდარტების დარღვევების აღმოჩენა, სტატისტიკური და ანალიტიკური მასალების ფორმირება და ინტერპრეტაცია. მონიტორინგის უპირატესობებია: ფაქტებზე დაყრდნობით მიღებული ობიექტური შეფასებები; საქმიანობის სრულყოფის სისტემური მიდგომა; იმ პროცესების გამოვლენა და ანალიზი, რომლებიც საჭიროებენ გაუმჯობესებას; გაუმჯობესებაზე მიმართული ინიციატივების შემუშავება და დანერგვა; შეფასების კრიტერიუმების ერთიანი კომპლექსის გამოყენება; შედარების შესაძლებლობა; ცვლილებების დინამიკის ასახვა. ბნსუ-ში მონიტორინგი ტარდება ყოველწლიურად, წლის განმავლობაში.

2. **მონიტორინგის ასპექტები.** მონიტორინგის ძირითად სისტემურ ასპექტებს მიეკუთვნება:

- ეკონომიკური ასპექტი - მოიაზრება საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვისთვის აუცილებელი ფინანსური და მატერიალური რესურსების ოპტიმალურად გამოყენების შესწავლა (ოპტიმალურია მდგომარეობა, როდესაც საუკეთესო შედეგები მიიღწევა მინიმალური დანახარჯების გზით), სხვ.;
- პედაგოგიური ასპექტი - მოიაზრება ლექტორთა პედაგოგიური, პერსონალური, საკომუნიკაციო და სოციალური უნარები და პროფესიონალური კომპეტენტურობა;
- სოციალური ასპექტი - მოიაზრება საზოგადოების მოთხოვნებთან ბნსუ-ს საქმიანობის შესაბამისობა, ბნსუ-ს მიმართ საგანმანათლებლო მომსახურების მომხმარებელთა დამოკიდებულება, ბნსუ-ს იმიჯი - ადგილი, რომელიც ბნსუ-ს უკავია საზოგადოებრივი ურთიერთობების სტრუქტურაში, სხვ.;
- მმართველობითი ასპექტი - მოიაზრება ძირითადი (საგანმანათლებლო) პროცესის, დამხმარე (საინფორმაციო, სამეცნიერო, მეთოდური, მატერიალურ-ტექნიკური, სხვ.) პროცესების და მათი უზრუნველყოფის შეფასება, ბნსუ-ს საქმიანობის საერთო შედეგები, ბნსუ-ში მართვის სისტემის ეფექტიანობის კონტროლი და შეფასება (ბნსუ-ში მმართველობითი ეფექტიანობის შესწავლა-შეფასება შეიძლება განხორციელდეს როგორც ბნსუ-ს საქმიანობის საერთო შედეგების მეშვეობით, ისე არაპირდაპირი მონაცემების ანალიზით).

3. **მონიტორინგის ობიექტები.** ბნსუ-ში მონიტორინგის ობიექტი შეიძლება იყოს, მაგალითად: საგანმანათლებლო საქმიანობის სამართლებრივი და საორგანიზაციო უზრუნველყოფა, ბნსუ-ს მართვის სისტემა, სპეციალისტთა (კურსდამთავრებულთა) მომზადების ხარისხი, საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხი და ადამიანური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფა, პროგრამის განმახორციელებელთა კვალიფიკაცია, ბნსუ-ში სამეცნიერო-კვლევითი და მეთოდური საქმიანობის ხარისხი, ბნსუ-ს ინფრასტრუქტურის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ხარისხი, ბნსუ-ში არსებული „ვიზიკური გარემო“ და სოციალური პირობები, სწავლების სუბიექტების განათლების ხარისხი, მათ განვითარებაზე მიმართული საქმიანობა, ბნსუ-ს ფინანსური მდგომარეობა (მდგრადობა), ბნსუ-ში მოქმედი ხარისხის მართვის სისტემა და სხვ.

4. **მონიტორინგის სისტემა. მონიტორინგის სისტემის რეალიზების დონეები.** მმართველობითი იერარქიის ყველა დონეზე მონიტორინგი განხორციელდება როგორც განათლების ხარისხის მართვის სისტემის ფუნქცია და მონაცემების/ინფორმაციის ინტერპრეტირების, განათლების ხარისხის შეფასების ანალიზის და მის საფუძველზე სწორი მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების ინსტრუმენტი. მონიტორინგის სისტემის ძირითადი მიზანია მთლიანად ბნსუ-ში განათლების ხარისხი მართვის სისტემის სრულყოფა.

5. **მონიტორინგის სისტემის შემუშავება და რეალიზება.** მონიტორინგის სისტემის შემუშავება და აპრობაცია გადის რამდენიმე სტადიას - თეორიული მოდელით დაწყებული რეალურად მოქმედი მექანიზმით დამთავრებული. ბნსუ-ში მიიჩნევა, რომ მიზანშეწონილია მონიტორინგის შემადგენელი კომპონენტების სტრუქტურირება ხარისხისა და ეფექტიანობის განზოგადებული და კერძო მაჩვენებლებით ISO-ს ხარისხის მართვის სისტემაზე (პრინციპები, სტანდარტები) დაყრდნობით. ბნსუ-ში მონიტორინგის სისტემა მოიცავს საგანმანათლებლო სისტემის, ძირითადი და დამხმარე პროცესების შედეგიანობის და ეფექტიანობის 6 მიმართულებას:

- საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება, განხორციელება და მართვა;
- განათლების შინაარსი;
- საგანმანათლებლო პროცესის მონაწილეები, მათი ურთიერთობები, საგანმანათლებლო და სოციალურ-კულტურული გარემო;
- საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით (ადამიანური, მატერიალურ-ტექნიკური, სხვ.) უზრუნველყოფა;
- საგანმანათლებლო სისტემის განვითარების მართვა;
- საგანმანათლებლო პროცესის შედეგების მართვა.

ბნსუ-ს მონიტორინგის სისტემაში ინტეგრირებულია სისტემური და პროცესუალური მიდგომები, რაც გულისხმობს შემდეგს:

1) საგანმანათლებლო საქმიანობა აერთიანებს შემადგენელ ქვესისტემებს: მართვა; საგანმანათლებლო პროგრამები; სასწავლო-მეთოდური მასალა; მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური უზრუნველყოფა, პროგრამების განმახორციელებლები, სწავლების სუბიექტები, სხვ. შესაბამისად, ამ ქვესისტემების ხარისხი განაპირობებს ბნსუ-ს საგანმანათლებლო საქმიანობის შედეგის (ბნსუ-ში მიღებული განათლების) ხარისხს;

2) საგანმანათლებლო საქმიანობის შედეგის ხარისხის სხვა შემადგენელი ნაწილია პროცესები, რომელთა სწორი ორგანიზებისა და რეალიზების გარეშე შეუძლებელია დაგეგმილი შედეგების მიღწევა;

3) ბნსუ-ს, როგორც საგანმანათლებლო სისტემების, ფუნქციონირების პროცესებში მოიაზრება:

- ძირითადი პროცესი (პროცესის დახასიათება - საგანმანათლებლო პროცესი, რომელიც წარმოადგენს სწავლის სუბიექტების განათლების, აღზრდის და განვითარების ქვეპროცესების ერთობლიობას);
- დამხმარე (უზრუნველყოფის) პროცესები (პროცესის დახასიათება - საინფორმაციო, სამეცნიერო-მეთოდური, მატერიალურ-ტექნიკური, ფინანსური და საკადრო უზრუნველყოფა);
- მმართველობითი პროცესები (პროცესის დახასიათება - საგანმანათლებლო და სამეურნეო საქმიანობის დაგეგმვა, ორგანიზება, ხელმძღვანელობა, კონტროლი, აღრიცხვა, ანალიზი).



- 4) პროცესების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით მართვის ყველა სუბიექტმა უნდა იცოდეს: რა პროცესები მიმდინარეობს/უნდა განხორციელდეს; ამ პროცესების მიზნები, პროცესების ურთიერთკავშირი; სტრატეგიულ მიზანთან ამ პროცესების შესაბამისობა; როგორ არის ეს პროცესები დოკუმენტურად რეგლამენტირებული; რა უნდა გაკეთდეს პროცესების გაუმჯობესების მიზნით და სხვ.;
- 5) პროცესების ხარისხის განმსაზღვრელი მახასიათებელი არის მათი ეფექტიანობა - კავშირი მიღწეულ შედეგსა და გამოყენებულ რესურსებს შორის. ეფექტიანობის ცნება დაკავშირებულია პროცესის შედეგიანობასთან (ფუნქციონირების მიზნების მიღწევის შესაძლებლობასთან) და წარმოადგენს თანაფარდობას შედეგიანობისა და ყველა სახის რესურსების (დროის, ფიზიკური, მატერიალური) დანახარჯებთან.
- 6) მიზანშეწონილია ხარისხის და ეფექტიანობის შეფასების სხვადასხვა მაჩვენებლების გამოყენება, მაგალითად: განზოგადებული (ინტეგრალური), კერძო, რაოდენობრივი და თვისობრივი მაჩვენებლები. მათი გაზომვა ხდება შესაფასების კრიტერიუმების მეშვეობით. შეფასების კრიტერიუმი შეიძლება იყოს, მაგალითად:
- მოთხოვნებთან შესაბამისობის კრიტერიუმი (მაგალითი: კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემთხვევაში, რაც გამოიხატება ერთ-ერთი დადებითი შეფასებით: 51-100 ქულით);
  - მაქსიმუმის/მინიმუმის (საკმარისობის) კრიტერიუმები (მაგალითი: დასმული ამოცანა - „ბნსუ-ს 100-პროცენტაანი კომპიუტერზაცია“ არის რელევანტური, თუ იქნება ფორმულირებული შემდეგნაირად: თითოეულ სტუდენტს უნდა ჰქონდეს ცალკე კომპიუტერი იმ მეცადინეობებზე, სადაც ეს საჭიროა);
  - უპირატესობის კრიტერიუმი (გამოიყენება შეფარდებითი შეფასებებისათვის).
- 7) მონიტორინგის ჩატარების პროცესში მნიშვნელოვანია როგორც შეფასების მაჩვენებლების სისტემების (კომპლექსების) რაციონალური შერჩევა, ისე დასმული ამოცანების ადეკვატური შეფასების კრიტერიუმების გამოყენება;
- 8) მონიტორინგის სისტემის შემადგენელი კომპონენტები შეიძლება დაჯგუფდეს შემდეგნაირად:
- I ჯგუფი - სწავლების სუბიექტების შედეგების (ცოდნა, უნარები, პროფესიისთვის მნიშვნელოვანი პერსონალური თვისებები, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა-სწავლებასა და სტუდენტის მხარდამჭერ მექანიზმებთან დაკავშირებით და სხვ.) მონიტორინგი, რომლის მიზანია შედეგების დინამიკის, საგანმანათლებლო პროცესის შედეგიანობის კონტროლი;
  - II ჯგუფი - მონიტორინგი, რომელიც დაკავშირებულია საგანმანათლებლო სისტემის შესახებ ინფორმაციის (პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შემადგენლობა და კვალიფიკაცია, მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფის დინამიკა, აკადემიურ/მოწვეული პერსონალის /პროფესიული მასწავლებლის კმაყოფილებისა და საჭიროებათა კვლევა და სხვ.) შეგროვებასთან და სტრუქტურირებასთან;
  - III ჯგუფი - მონიტორინგი, რომელიც აგებულია მოდელზე „დასაწყისი-დასასრული“, რა დროსაც ხდება სწავლების სუბიექტის კონპეტენციების შედარება საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის დაწყებისა და დასრულების ეტაპებზე;
  - IV ჯგუფი - ბნსუ-ში მიმდინარე პროცესების მონიტორინგი, რომლის მეშვეობით უნდა გაეცეს პასუხი კითხვებს სწავლების ამა თუ იმ ტექნოლოგიის ეფექტიანობის შესახებ, განისაზღვროს სწავლების ხარისხზე ზემოქმედების მქონე ფაქტორები, დადგინდეს კავშირი განმახორციელებელთა კვალიფიკაციებსა და სწავლების შედეგებს შორის, სხვ.
- 9) ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ბნსუ-ს მონიტორინგის სისტემა შეიძლება იყოს, მაგალითად, ასეთი:

ჯგუფი	მონიტორინგის ობიექტი	მეთოდები, მიმართულებები
I	საგანმანათლებლო პროცესის შედეგიანობა	<ul style="list-style-type: none"> <li>• სტუდენტის შეუალედური და დასკვნითი შეფასებისთვის გამოყენებული დავალებები, საგამოცდო საკითხები, სხვ.;</li> <li>• ინფორმაცია სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შესახებ;</li> <li>• ინფორმაცია სტუდენტთა მოლოდინებისა და მოსაზრებების შესახებ;</li> <li>• ინფორმაცია პროგრამების განმახორციელებლების მოსაზრებების შესახებ;</li> <li>• ინფორმაცია პოტენციურ დამსაქმებელთა მოსაზრებების შესახებ;</li> <li>• და/ან სხვ.</li> </ul>
II	საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებლების და სასწავლო პროცესის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის შესახებ ინფორმაციის შეგროვება და სტრუქტურირება	<ul style="list-style-type: none"> <li>• პროგრამის განმახორციელებლები და მათი კვალიფიკაცია;</li> <li>• პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;</li> <li>• სასწავლო პროცესის მეთოდური უზრუნველყოფა;</li> <li>• საგანმანათლებლო პროცესის შედეგიანობა;</li> <li>• მეთოდური საქმიანობა;</li> <li>• სწავლა-სწავლების პროცესის თანამდევი ასპექტები (მეცადინეობების, კონსულტაციების, გამოცდების ორგანიზება, სხვ.);</li> <li>• ინფორმაცია სტუდენტთა მოლოდინებისა და მოსაზრებების შესახებ;</li> <li>• ინფორმაცია პროგრამების განმახორციელებლების მოსაზრებების შესახებ;</li> <li>• და/ან სხვ.</li> </ul>
III	მოდელი „დასაწყისი-დასასრული“	<ul style="list-style-type: none"> <li>• ჩარიცხულ აბიტურიენტთა/მაგისტრანტობის კანდიდატთა მომზადების დონე (მაგ., ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგები - მიღებული ქულები);</li> <li>• კურსდამთავრებულთა მოდელი (პროგრამით დაგეგმილი სწავლის შედეგები, პოტენციურ დამსაქმებელთა მოლოდინები, სტუდენტთა მოლოდინები, კურსდამთავრებულთა მოსაზრებები, სხვ.);</li> <li>• კურსდამთავრებულთა კომპეტენტურობა (მაგ., დიპლომი „წარჩინებით“/“ჩვეულებრივი“, GPA, დამსაქმებელთა შეფასება, სხვ.);</li> <li>• განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელება;</li> <li>• დამსაქმებელი და დასაქმების პრობლემა (დამსაქმებელთა შეფასებები, კურსდამთავრებულთა მოსაზრებები);</li> <li>• და/ან სხვ.</li> </ul>



IV	პროცესების მონიტორინგი	<ul style="list-style-type: none"> <li>• საგანმანათლებლო, უზრუნველყოფის და დამხმარე პროცესების მონიტორინგი;</li> <li>• სწავლა-სწავლების პროცესის ანალიზი;</li> <li>• პროგრამების განმახორციელებლების საქმიანობის შეფასება და ანალიზი;</li> <li>• საგანმანათლებლო პროცესის ყველა მონაწილის მოთხოვნების დინამიკის ანალიზი;</li> <li>• და/ან სხვ.</li> </ul>
----	------------------------	-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

10) ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, ბნსუ-ში ყოველწლიური მონიტორინგის სქემა შეიძლება იყოს, მაგალითად, ასეთი:

მონიტორინგის				განსახორციელებელი ქმედებები
საგანი (ობიექტი)	შინაარსი	მინიმალური პერიოდულობა	შედეგის ფორმალიზება	
ბნსუ-ს ზოგადი მაჩვენებლები	<p>ინფორმაციის შეგროვება ბნსუ-ში არსებული ფიზიკური გარემოს, ინფრასტრუქტურის, ადჰუროვილობის, მატერიალურ-ტექნიკური და ბიბლიოთეკის რესურსების მდგომარეობის, საკმარისობისა და ხელმისაწვდომობის, პროგრამების განმახორციელებელთა და სტუდენტთა კონტინენტის ცვლილებების დინამიკის შესახებ, და/ან სხვ. (საჭიროების შემთხვევაში).</p> <p>შესასწავლი ასპექტის სპეციფიკის გათვალისწინებით შეიძლება იყოს გამოყენებული: მონაცემების შესწავლა; ვიზუალური დათვალიერება; სტანდარტებთან/ინსტრუქციებთან შედარება; განცხადებების/ინიციატივების განხილვა; სტუდენტთა, ლექტორთა, სხვ. გამოკითხვა/ზეპირი გასაუბრება; სხვ.</p>	წელიწადში 2-ჯერ	<p>ანალიზის დოკუმენტი, დასკვნა, რეკომენდაცია (არსებობის შემთხვევაში - დიაგრამები, ცხრილები, ფორმები, სხვ.).</p> <p>შემაჯამებელ დოკუმენტზე პასუხისმგებელი: ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი</p>	შესაბამისი მექანიზმების შემუშავება, დაგეგმვა, ამოქმედება, კონტროლი შესრულებაზე
ძირითადი (სასწავლო) და დამხმარე პროცესების ორგანიზება	<p>აკადემიური კალენდრის, მეცადინეობების/ კონსულტაციების/სხვ. ცხრილების და სტუდენტთა საკონტაქტო დატვირთვის განაწილების რელევანტურობის, სტუდენტთა საინფორმაციო, აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის სერვისების ხელმისაწვდომობის შესწავლა, და/ან სხვ. (საჭიროების შემთხვევაში).</p> <p>შესასწავლი ასპექტის სპეციფიკის გათვალისწინებით შეიძლება იყოს გამოყენებული: ინფორმაციის (მათ შორის, განცხადებების/ინიციატივების) შესწავლა; დოკუმენტების შინაარსობრივი/ტექნიკური მხარის შესწავლა; სტუდენტთა, ლექტორთა, სხვ. გამოკითხვა/ზეპირი გასაუბრება; სხვ. ინდივიდუალური სასწავლო გეგმები; საუნივერსიტეტო მხარდაჭერის მექანიზმები;</p>	წელიწადში 2-ჯერ	<p>ანალიზის დოკუმენტი, დასკვნა, რეკომენდაცია (არსებობის შემთხვევაში - დიაგრამები, ცხრილები, ფორმები, სხვ.).</p> <p>შემაჯამებელ დოკუმენტზე პასუხისმგებელი: ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი</p>	შესაბამისი მექანიზმების შემუშავება, დაგეგმვა, ამოქმედება, კონტროლი შესრულებაზე
საგანმანათლებლო პროცესის სასწავლო-მეთოდური უზრუნველყოფა	<p>ინფორმაციის შეგროვება სასწავლო პროცესის სასწავლო, მეთოდური, აუდიო-ვიდეო მასალით, თვალსაჩინოებით, სხვ. უზრუნველყოფის, საკმარისობის და ხელმისაწვდომობის შესახებ, და/ან სხვა (საჭიროების შემთხვევაში).</p> <p>შესასწავლი ასპექტის სპეციფიკის გათვალისწინებით შეიძლება იყოს</p>	წელიწადში ერთ-ხელ (აკადემიური წლის დაწყებამდე); ან საჭიროებისამებრ (პროგრამაში/პროგრამის კომპონენტში ცვლილებების შემთხვევაში)	<p>ანალიზის დოკუმენტი, დასკვნა, რეკომენდაცია (არსებობის შემთხვევაში - დიაგრამები, ცხრილები, ფორმები, სხვ.).</p> <p>შემაჯამებელ დოკუმენტზე პასუხისმგებელი: ბნსუ-ს ხარის-</p>	შესაბამისი მექანიზმების შემუშავება, დაგეგმვა, ამოქმედება, კონტროლი შესრულებაზე

	გამოყენებული: ინფორმაციის (მათ შორის, განცხადებების/ინიციატივების) შესწავლა; ვიზუალური დათვალიერება; პროგრამის კომპონენტების სილაბუსებთან თანხვედის შესწავლა; სტუდენტთა, ლექტორთა, სხვ. გამოკითხვა/ზეპირი გასაუბრება; სხვ.		ხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	
საგანმანათლებლო პროგრამები	<p>პროგრამების შინაარსის კანონმდებლობასთან, საგანმანათლებლო/დარგობრივ სტანდარტებთან და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა, სტუდენტთა შეფასების სისტემის გამჭვირვალობის და კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესწავლა, და/ან სხვა (საჭიროების შემთხვევაში).</p> <p>შესასწავლი ასპექტის სპეციფიკის გათვალისწინებით შეიძლება იყოს გამოყენებული: პროგრამის სტრუქტურა, წინაპირობები, შინაარსი და სილაბუსების შინაარსობრივი და ტექნიკური რევიზია; სტუდენტთა, ლექტორთა, პოტენციურ დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა, სხვ. გამოკითხვა/ზეპირი გასაუბრება; სხვ. პროგრამის მიზნები; პროგრამის სწავლის შედეგები; პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი; პროგრამის კვლევითი კომპონენტი; სწავლება-სწავლის მეთოდები; პროგრამის ინტერნაციონალიზაცია; პროგრამის ხარისხის განვითარების შესაძლებლობები; საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული კომპონენტის შეფასების ინდიკატორები, კრიტერიუმები და შეფასების ფორმა; კურსუკულის რუქა; კრედიტების აღიარების ფორმა.</p>	წელიწადში ერთხელ (აკადემიური წლის დაწყებამდე); ან საჭიროებისამებრ (კანონმდებლობაში, სტანდარტებში/სხვ., პროგრამაში/პროგრამის კომპონენტში ცვლილებების შემთხვევაში)	<p>ანალიზის დოკუმენტი, დასკვნა, რეკომენდაცია (არსებობის შემთხვევაში - დიაგრამები, ცხრილები, ფორმები, სხვ.).</p> <p>შემაჯამებელ დოკუმენტზე პასუხისმგებელი: ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი</p>	შესაბამისი მექანიზმების შემუშავება, დაგეგმვა, ამოქმედება, კონტროლი შესრულებაზე
პროგრამის სპეციფიკის შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფა	<p>ინფორმაციის შეგროვება პროგრამის</p> <p>1) ადამიანური რესურსის (შემადგენლობა, კვალიფიკაცია, რაოდენობის საკმარისობა),</p> <p>2) მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის (რეკონსტრუქცია, საკმარისობა, მოთხოვნებთან შესაბამისობა) შესახებ შესასწავლი ასპექტის სპეციფიკის გათვალისწინებით შეიძლება იყოს გამოყენებული: ინფორმაციის შესწავლა (მათ შორის, განცხადებების/ინიციატივების) შესწავლა; მატერიალურ-ტექნიკური რესურსის ვიზუალური დათვალიერება და მუშა მდგომარეობა; ლექტორთა პირადი საქმეების შესწავლა; სტუდენტთა, ლექტორთა, სხვ. გამოკითხვა/ზეპირი გასაუბრება; სხვ.</p>	წელიწადში ერთხელ (აკადემიური წლის დაწყებამდე) ან საჭიროებისამებრ (პროგრამაში/პროგრამის კომპონენტში ცვლილებების შემთხვევაში)	<p>ანალიზის დოკუმენტი, დასკვნა, რეკომენდაცია (არსებობის შემთხვევაში - დიაგრამები, ცხრილები, ფორმები, სხვ.).</p> <p>შემაჯამებელ დოკუმენტზე პასუხისმგებელი: ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი</p>	შესაბამისი მექანიზმების შემუშავება, დაგეგმვა, ამოქმედება, კონტროლი შესრულებაზე
პროგრამის განმახორციელებლების საქმიანობა	ინფორმაციის შეგროვება-შესწავლა განმახორციელებელთა კომპეტენტობის, პედაგოგიური უნარების და სხვ. შესახებ; განმახორციელებელთა რაოდენობის საკმარისობის, მათი საკონტაქტო დატვირთვის,	წელიწადში 2-ჯერ	ანალიზის დოკუმენტი, დასკვნა, რეკომენდაცია (არსებობის შემთხვევაში - დიაგრამები, ცხრილები, ფორმები, სხვ.).	შესაბამისი მექანიზმების შემუშავება, დაგეგმვა, ამოქმედება, კონტროლი შესრულებაზე

	<p>სტუდენტებთან მუშაობის (კონსულტაციები, შეფასებების განხილვა, სხვ.) შესახებ, და/ან სხვა (საჭიროების შემთხვევაში).</p> <p>შესასწავლი ასპექტის სპეციფიკის გათვალისწინებით შეიძლება იყოს გამოყენებული: ინფორმაციის (მათ შორის, განცხადებების/ინიციატივების) შესწავლა; სტუდენტთა აკადემიური მოსწრების (შუალედური და დასკვნითი შეფასებების) შესწავლა; სტუდენტთა, ლექტორთა, კურსდამთავრებულთა, სხვ. გამოკითხვა/ზეპირი გასაუბრება; სხვ.</p>		<p>შემაჯამებელ დოკუმენტზე პასუხისმგებელი: ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი</p>	
<p>სტუდენტთა სასწავლო საქმიანობა / მხარდაჭერის მექანიზმები</p>	<p>სტუდენტთა კომპეტენციების დონე; სტუდენტთა სასწავლო საქმიანობის საკმარისობა, და/ან სხვა (საჭიროების შემთხვევაში).</p> <p>შესასწავლი ასპექტის სპეციფიკის გათვალისწინებით შეიძლება იყოს გამოყენებული: ინფორმაციის (მათ შორის, განცხადებების/ინიციატივების) შესწავლა; სტუდენტთა აკადემიური მოსწრების (შუალედური და დასკვნითი შეფასებების) შესწავლა; სტუდენტთა, ლექტორთა, კურსდამთავრებულთა, სხვ. გამოკითხვა/ზეპირი გასაუბრება; სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა.</p>	<p>წელიწადში ერთხელ</p>	<p>ანალიზის დოკუმენტი, დასკვნა, რეკომენდაცია (არსებობის შემთხვევაში - დიაგრამები, ცხრილები, ფორმები, სხვ.).</p> <p>შემაჯამებელ დოკუმენტზე პასუხისმგებელი: ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი</p>	<p>შესაბამისი მექანიზმების შემუშავება, დაგეგმვა, ამოქმედება, კონტროლი შესრულებაზე</p>
<p>საგანმანათლებლო საქმიანობის შიდა-ნორმატიული ბაზა</p>	<p>მოქმედ კანონმდებლობასთან შიდა-ნორმატიული მარეგულირებელი ბაზის შესაბამისობის დადგენა, ბნსუ-ს შიდა-ნორმატიული ბაზის საკმარისობის დადგენა, და/ან სხვა (საჭიროების შემთხვევაში)</p> <p>შესასწავლი ასპექტის სპეციფიკის გათვალისწინებით შეიძლება იყოს გამოყენებული: საკანონმდებლო ბაზასთან შედარება და შიდა მარეგულირებელი დებულებების/წესების რევიზია; სტუდენტთა, ლექტორთა, სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების განცხადებების/ინიციატივების შესწავლა; სტუდენტთა, ლექტორთა, სხვ. გამოკითხვა/ზეპირი გასაუბრება; სხვ.</p>	<p>წელიწადში ერთხელ ან საჭიროებისამებრ (კანონმდებლობაში, სტანდარტებში/სხვ. ცვლილებების შემთხვევაში)</p>	<p>დასკვნა, რეკომენდაცია, დოკუმენტის/ცვლილების პროექტი; დოკუმენტის დამტკიცების უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება, სხვ.</p> <p>შემაჯამებელ დოკუმენტზე პასუხისმგებელი: ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი</p>	<p>მარეგულირებელი დოკუმენტის ამოქმედება, კონტროლი შესრულებაზე</p>
<p>სტრუქტურული ერთეულები, მათი ხელმძღვანელები</p>	<p>სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის, ხელმძღვანელის კომპეტენტურობის, მმართველობითი უნარების, საქმიანობის ეფექტიანობის დადგენა, და/ან სხვა (საჭიროების შემთხვევაში).</p> <p>შესასწავლი ასპექტის სპეციფიკის გათვალისწინებით შეიძლება იყოს გამოყენებული: ინფორმაციის (მათ შორის, განცხადებების) შესწავლა; სტუდენტთა, ლექტორთა, სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლების, სხვ. გამოკითხვა/ზეპირი გასაუბრება; სტრუქტურულ ერთეულებში ბნსუ-ს მართვის ორგანოების (სუბიექტების) დადგენილებების/გადაწყვეტილების სრულად და დროულად შესრულების, სტრუქ-</p>	<p>წელიწადში ერთხელ</p>	<p>ანალიზის დოკუმენტი, დასკვნა, რეკომენდაცია (არსებობის შემთხვევაში - დიაგრამები, ცხრილები, ფორმები, სხვ.).</p> <p>შემაჯამებელ დოკუმენტზე პასუხისმგებელი: ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი</p>	<p>შესაბამისი მექანიზმების შემუშავება, დაგეგმვა, ამოქმედება, კონტროლი შესრულებაზე</p>

	ტურული ერთეულის გამართული მუშაობის/არსებული პრობლემების შესწავლა, სხვ.			
ბნსუ-ს ხელმძღვანელობის საქმიანობა	<p>ბნსუ-ს მართვის ეფექტიანობის, გადაწყვეტილების მიღების ოპერატიულობის, ობიექტურობის და გამჭვირვალობის დადგენა, და/ან სხვა (საჭიროების შემთხვევაში)</p> <p>შესასწავლი ასპექტის სპეციფიკის გათვალისწინებით შეიძლება იყოს გამოყენებული: ინფორმაციის (მათ შორის, განცხადებების) შესწავლა; სტუდენტთა, ლექტორთა, ბნსუ-ს თანამშრომელთა, კურსდამთავრებულთა, სხვ. გამოკითხვა/ზეპირი გასაუბრება; სტრუქტურულ ერთეულებში დადგენილებების/გადაწყვეტილების სრულად და დროულად შესრულება, სხვ.</p> <p>ინფორმაციის მენეჯმენტი და საჯაროობა.</p>	წელიწადში ერთხელ	<p>ანალიზის დოკუმენტი, დასკვნა, რეკომენდაცია (არსებობის შემთხვევაში - დიაგრამები, ცხრილები, ფორმები, სხვ.).</p> <p>შემაჯამებელ დოკუმენტზე პასუხისმგებელი: ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი</p>	შესაბამისი მექანიზმების შემუშავება, დაგეგმვა, ამოქმედება, კონტროლი შესრულებაზე
კვლევა და ინტერნაციონალიზაცია	<p>ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ბნსუ-ს კვლევების ცენტრთან ერთად, განსაზღვრავს კვლევითი საქმიანობის ხარისხის შეფასების კომპონენტებს, შეიმუშავებს ინდიკატორებს, კრიტერიუმებს, მექანიზმებს, ფორმებს და კითხვარს რაც განსაზღვრულია დოკუმენტით „სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგია“.</p> <p>საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურთან ერთად შეიმუშავებს ინტერნაციონალიზაციის განხორციელების შეფასების ინდიკატორებს და კრიტერიუმებს.</p>	წელიწადში ერთხელ	<p>სამეცნიერო საქმიანობის ანგარიშები; სამეცნიერო საქმიანობის თვითშეფასების ფორმა; საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ანგარიში; კვლევების ხელშეწყობის ცენტრის ანგარიში; სტუდენტის მიერ ინტერნაციონალიზაციის შეფასება; აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ ინტერნაციონალიზაციის შეფასება; აკადემიური პერსონალის კითხვარი სამეცნიერო საქმიანობის მხარდაჭერით კმაყოფილების შესახებ; სტუდენტის მიერ ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის, სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერის შეფასება; სტუდენტის (მაგისტრანტთა) მიერ სამეცნიერო/კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში მხარდაჭერის შეფასება.</p>	კონტროლი შესრულებაზე
ხარისხის	შეიმუშავებს კითხვარებს სტუდე-	წელიწადში ერთ-	????????????????	????????????????



<p>უზრუნველყოფის ეფექტიანობა</p>	<p>ნტის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, კურსდამთავრებულის, დამსაქმებლის დამოკიდებულებების, მოსაზრებებისა და წინადადებების კვლევისთვის, ანალიზებს და აფასებს გამოკითხვის შედეგებს.</p> <p>გეგმავს პროგრამების შეფასების პროცესს; კოლეგიალური ურთიერთდასწრების შეფასება; შეფასების შედეგების გამოყენება: აკადემიური/მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხამრე პერსონალის საქმიანობის ხარისხის შეფასება. ხარისხის შეფასების მეთოდოლოგიური და სამართლებრივი ბაზის ხარისხი; ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამჭვირვალობა და ხელმისაწვდომობა; შეფასების ობიექტურობა; კვლევაში მონაწილე დაინტერესებული მხარეების ჩართულობის უზრუნველყოფა; ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელების შედეგზე ორიენტირებულობა; დროული და ეფექტიანი რეაგირება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციებზე; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობით და მასზე დაკისრებული უფლებამოვალეობების შესრულებით დაინტერესებული მხარეების კმაყოფილება.</p>	<p>ხელ</p>		
----------------------------------	-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	------------	--	--

ყოველწლიური თვითშეფასების და მონიტორინგის მიზნით შესაძლებელია ზემოთ მითითებული მოდელების გამოყენება, ამ მოდელებში დამატებების/ცვლილებების შეტანა ან სხვა მოდელების შემუშავება და გამოყენება.

**2.6. კონტროლის სისტემის ეფექტიანობა**

1. ბნსუ მიიჩნევს, რომ ხარისხის კონტროლის სისტემა ეფექტიანია, თუ:
  - შემოწმება-შეფასება არის სისტემატური და თანმიმდევრული პროცესი (ტარდება ყოველწლიურად, წლის განმავლობაში), გულისხმობს ბნსუ-ს საქმიანობის ყველა ასპექტზე დაკვირვებას და იძლევა ბნსუ-ში მიმდინარე პროცესების განვითარების მოკლევადიანი და საშუალოვადიანი პროგნოზირების შესაძლებლობას;
  - შეფასების პროცესში მონაწილეობენ როგორც ბნსუ-ს პერსონალი და სწავლების სუბიექტები, ისე სხვა დაინტერესებული პირები
  - შემოწმება-შეფასების პროცესში გათვალისწინებულია შემოწმების-შეფასების ობიექტის სპეციფიკა; შემოწმება-შეფასების პროცესში გამოყენებული მაჩვენებლები არის მნიშვნელოვანი ხარისხის მართვისთვის და იძლევა შეუსაბამობების/ხარვეზების გამომწვევი ფაქტორების და მიზეზების დადგენის შესაძლებლობას;
  - შემოწმება-შეფასების შედეგების ანალიზი ეყრდნობა სრულ და სწორ ინფორმაციას და ასახავს არსებულ მდგომარეობას; SWOT ანალიზი არის ობიექტური; გამოიყენება PDCA ციკლი;
  - შემოწმება-შეფასების შედეგების ანალიზი არის ხარვეზების აღმოფხვრაზე, ნეგატიური შედეგების თავიდან აცილებაზე/შემცირებაზე, განსახორციელებელი ცვლილებების დროულ დადგენაზე მიმართული რეკომენდაციების შემუშავების, მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების საფუძველი.
2. გარდა ზემოთ მითითებულისა, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფექტიანია მაშინ, როდესაც შეფასების ყველა ეტაპის შედეგები ცნობილია დაინტერესებული მხარეებისთვის და გათვალისწინებულია ბნსუ-ს საქმიანობის ყველა მონაწილის (სუბიექტების) საქმიანობაში/ქმედებაში: ბნსუ-ს საქმიანობაში მათი მონაწილეობის ასპექტი განსხვავებულია, მაგრამ ყველა სუბიექტი (ბნსუ-ს პერსონალი, პროგრამების განმახორციელებლები, სწავლების სუბიექტები, კურსდამთავრებულები, პოტენციური დამსაქმებლები, პარტნიორი დაწესებულებები, სხვ.) მონაწილეობს ამ პროცესში და ანალიზებს მიღებულ ინფორმაციას (მაგ., საზოგადოებას აქვს ინფორმაცია ბნსუ-ს შესახებ, ამის საფუძველზე იქმნება საზოგადოებრივი აზრი და საზოგადოებაში ბნსუ-ს რეპუტაცია);
3. კონტროლის შედეგების პრაქტიკული რეალიზების დონეებია:
  - ბნსუ-ს სტრუქტურული ერთეულების დონე;
  - ბნსუ-ს ინსტიტუციური დონე.
4. ბნსუ-ში შემოწმება-შეფასების შედეგების საფუძველზე შემუშავებული ღონისძიებების რეალიზებაზე და მათი შესრულების კონტროლზე პასუხისმგებელია ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და კომპეტენციის ფარგლებში - სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელები.